სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/57

ქ. თბილისი

29 ივნისი 2023 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
„ოქროს მედლით“ დაჯილდოების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 29 აპრილის №01-05-02/11 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისთვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი დავით შენგელია დაჯილდოვდეს „ოქროს მედლით“;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**